

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	38	29	858
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	88343	90280	177717
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფ. მარაგები	519	10417	10417
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	29798	22358	27814
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	72364	72364	72364
ძირითადი საშუალებები	843840	942057	921796
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუქტურ	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1034902	1137505	1210966
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	87254	116677	337780
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	190184	215935	0
საგადასახადო ვალდებულებები	58529	56040	44411
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	773208	749722	821509
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	15528	5362	0
სულ ვალდებულებები	1124703	1143736	1203700
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-89801	-6231	7266
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-89801	-6231	7266
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1034902	1137505	1210966
სულ მოკლევადიანი აქტივები	29798	22358	27814
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	461807	292007
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	461807	292007
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	461807	292007
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-237292	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-42003	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-52875	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-150956	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-483126	0
საოპერაციო მოგება	-21319	292007
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-62251	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპ;	-83570	292007
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-83570	292007
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გად.	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-83570	292007
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-6231	7266
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-305504
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-89801	-6231



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	9	-829
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	9	-829
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდში	29	858
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდში	38	29



[Handwritten signature in blue ink]

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტება

შპს "რედი" არის ზაალ კახიანის სახელობის პოლიკლინიკა. რომელიც დარეგისტრირებულია 2006 წლის 30 სექტემბერს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, სარეგისტრაციო მოწმობის № 01240, საიდენტიფიკაციო კოდი 200209103. პოლიკლინიკის იურიდიული მისამართია ქ.თბილისი, თემქის დასახლება 3 მ/რაიონი, კვ 2, კორპ 37, ბინა 18 ხოლო ფაქტიურად მდებარეობს ქ.თბილისში, გურამიშვილის გამზირი №180.

საზოგადოების საქმიანობის საგანია მიღებული ლიცენზიის ფარგლებში სამედიცინო პროფილით მომსახურება.

საზოგადოების ძირითადი მიზანია მოგების მიღება წესდებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სამედიცინო საქმიანობის შედეგად, ის თავის საქმიანობას ანხორციელებს სრული თვითდაფინანსების პირობებში.

ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

შპს "რედის" 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. საზოგადოება ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ. ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მომზადების მეთოდოლოგია და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

საანგარიშო პერიოდი

ანგარიშგება მოცავს 2020, წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში საზოგადოება ძირითადად ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე, ამგვარად მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ვალუტად გამოყენებულია ქართული ლარი.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების ბალანსში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება გახდება ფინანსური ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯები, ხოლო ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

მ

გ



ძირითადი და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალების შემოსავალში აღება ხდება მისი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, გადახდილ გადასახადებს, რომელიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვან სხვა ხარჯებს.

ძირითადი საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შემოსავლები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, როცა მოხდა მისი გამომუშავება, მიუხედავად იმისა, მიღებულია მის სანაცვლოდ ფულადი ან სხვა ეკონომიკური ხასიათის კომპესაცია.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიური დაფარვის მომენტისა.

შემოსავლების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება წყაროების მიხედვით, ხოლო ხარჯებისა ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

მოგების გადასახადი

სააღრიცხვო მოგებასა და საგადასახადო მოგებას შორის სხვაობის აღრიცხვა ხდება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა

საგადასახადო მიზნებისათვის გადასახადების გაანგარიშება და გადახდა წარმოებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, ანგარიშგებაში ასახულია საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

შპს "რედი" ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს ნაღდი ფულის სახით სალაროში და უნაღდო სახით საბანკო ანგარიშებზე.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნომინალური ღირებულებით, აქტივები და მოთხოვნები ძირითადად წარმოქმნილია მომსახურების მიწოდებით, ისინი წარმოდგენილია მოკლევადიანი მოთხოვნების სახით, დებიტორული დავალიანებები ასახულია ანალიზურად.

მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები(ძირითადად მედიკამენტები) ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შეძენის თვითღირებულებით, მათი აღრიცხვისა და შეფასებისათვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.



გრძელვადიანი აქტივები

გრძელვადიანი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საწყისი ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით, საწყისი ღირებულება მოიცავს ძირითადი აქტივების შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია მის შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან. აქტივები დაჯგუფებულია საგადასახადო კოდექსის მიხედვით:

ძირითადი საშუალებები
არამატერიალური აქტივები

ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული მომსახურებისათვის გადასახდელ ვალდებულებას, ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა ერთ წელს მეტია, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულება, საზოგადოებას ერიცხება გრძელვადიანი ვალდებულება, ვალდებულებების ჯამი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 124 703 ლარს, რაც კლასიფიცირდება ასე:

კრედიტორული დავალიანება	1 124 703
საგადასახადო ვალდებულებები	58529
გადასახდელი ხელფასები	190184
გრძელვადიანი სესხები	773208
სხვა ვალდებულებები	15528
სულ მიმდინარე ვალდებულებები	

მოგება-ზარალის ანგარიშგება

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები წარმოშობილია საზოგადოების ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება ან მცირდება საკუთარი კაპიტალი.

ხარჯების აღიარება

საზოგადოება სწევს ხარჯებს თავისი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში.

ფულადი ნაკადების მოძრაობა

ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია პირდაპირი მეთოდი, საოპერაციო ხარჯებში ასახულია მედიკამენტების, მცირე ფასიანი საგნების შესაძენად გაწეული ხარჯები.

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შემოდინების მთავარ წყაროს წარმოადგენს საქმიანობის ძირითადი სფერო.



ანგარიშსწორება ბიუჯეტთან

საშემოსავლო გადასახადი

მოგების გადასახადი

ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №7 ბრძანების შესაბამისად შპს “რედი” 2017 წლიდან მოგების გადასახადის გადამხდელია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შესაბამისად, აღნიშნული მოდელის შესაბამისად მას აქვს ვალდებულება მოგების გადასახადის დეკლარაცია წარადგინოს ყოველთვიურად. 2020 წელს შპს “რედი” შემოსავლების სამსახურში წარდგენილი აქვს მოგების გადასახადის დეკლარაციები ყოველთვიურად, საზოგადოებას 2020 წლის მონაცემების შესაბამისად ამ მოდელით დასაბეგრი ოპერაციები არ უფიქსირდება.



[Handwritten signature]